ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N9

30 ივლისი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2021 წლის 30 ივლისს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ირინა ტყეშელაშვილი, გია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე, მაია კბილაშვილი, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, გვანცა გრძელიძე, გურამი კიკნაველიძე, რუსუდან გეწაძე, გაბრიელ ღიბრაძე, ირაკლი გოგსაძე, დიომიდე კიკნაველიძე .

სულ: 20 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ალექსი ლომინაშვილი, ნოდარი გიორგიძე, გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, შალვა დათუაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ზაზა ზივზივაძე, ფრიდონ მაჩიტაძე

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

თამილა ფაიქიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. კახა გოგნაძე -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

   თანამომხსენებელი-ზანდა ჯიხვაძე - ფაიქიძე, -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის Iკატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ანგარიში 2020-2021 სასწავლო წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს. თამუნა ფაიქიძე - .არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი თემის(ბაღდათის მუნიციპალიტეტის) მერის არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

   მომხს. გვანცა გრძელიძე-საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეორე ობჩის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი მეორე ობჩა), 27-ე ქუჩისათვის წმინდა გიორგის სახელის მინიჭების შესახებ.

   მომხს. გვანცა გრძელიძე-საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წითელხევში 33-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

   მომხს. გვანცა გრძელიძე-საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

7. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის N 42 35 (განკარგულება:3/7913763 თარიღი:25/06/2021) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. გვანცა გრძელიძე-საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

8. ინფორმაცია: ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N42 73 განკარგულების განხორციელების შესახებ.

მომხს. თინა აბულაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი;

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები წარმოადგინა: **ლერი გუმბერიძემ მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: გურამი კიკნაველიძემ, ირაკლი გოგსაძემ შალვა მშვილდაძემ.

საკრებულოს კომისიის დასკვნა წარმოადგინა: **გურამი კიკნაველიძემ - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N13 (დადგენილება:დ-67.67212112) 30.07.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით დადგენილების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა: კახა გოგნაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე მოხდა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ახალი დებულების დამტკიცება, სადაც ცვლილება შეეხო სამსახურში არსებულ ორთავე განყოფილების სახელწოდებას, რომელიც უნდა აისახოს მერიის საშტატო ნუსხაში.

აზრი გამოთქვა: ლერი გუმბერიძემ.

საკრებულოს კომისიის დასკვნა სხდომაზე წარადგინა: **გვანცა გრძელიძემ - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

საკრებულოს სხდომა **ადგენს:**
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N14 (დადგენილება:დ-67.67212111) 30.07.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 20 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 20 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ანგარიში 2020-2021 სასწავლო წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

გაერთიანების მიერ 2020 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიში წარადგინა: **თამილა ფაიქიძემ - .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი.**
აზრი გამოთქვეს: ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, მურად ბურჯანაძემ, შალვა მშვილდაძემ.
მურად ბურჯანაძე - ფრაქცია ქართული ოცნება-ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, მან დააყენა საკითხი შემდგომ სხდომებზე, სადაც მოსმენილი იქნება ა.ა.ი.პ-ის ანგარიშები, თანამომხსენებლად ფინანსურ საკითხზე (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული თანხების ხარჯვაზე). ინფორმაცია, წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის მერიის შიგა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა.
მ. ბურჯანაძის აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა საკრებულოს წევრმა

ანგარიშთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიის დასკვნა წარმოადგინა: ირინა ტყეშელაშვილმა- საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯამრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

1.დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 47 (განკარგულება: გ-67.67212117) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის).
2.დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურს, 2022 წლიდან საკრებულოს სხდომებზე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების ანგარიშის მოსმენისას, წარმოადგინოს ინფორმაცია, ამავე იურდიული პირის მიერ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული თანხების ხარჯვის მიზნობრივად გამოყენების შესახებ, ანგარიშში მითითებული პერიოდის განმავლობაში.

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი თემის(ბაღდათის მუნიციპალიტეტის) მერის არჩევნების წინა საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გამოფენისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ.

განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მანვე მიაწოდა საკრებულოს კომისიის გადაწვეტილება საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გურამი კიკნაველიძემ, შალვა მშვილდაძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 48 (განკარგულება:გ-67.67212116) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეორე ობჩის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი მეორე ობჩა), 27-ე ქუჩისათვის წმინდა გიორგის სახელის მინიჭების შესახებ.

განკარგულების პროექტი და საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო გვანცა გრძელიძემ და აღნიშნა, რომ მიღებულია თანხმობა სამთავრობო კომისიისაგან და შესაძლებელია მიენიჭოს სახელი.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 49 (განკარგულება:გ-67.67212115) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წითელხევში 33-ე ქუჩისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

განკარგულების პროექტი და საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო გვანცა გრძელიძემ და აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით შემოსულია მოსახლეობის და ოჯახის მომართვა, ასევე მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პატივგების კომისიის გადაწყვეტილება. საკრებულოს მოწონების შემთხვევაში შეთანხმებისათვის მასალები გაიგზავნება სამთავრობო კომისიაში

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 50 (განკარგულება:გ-67.67212114) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:7.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მესამე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის N 42 35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულების პროექტი და საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა სხდომას გააცნო გვანცა გრძელიძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 51 (განკარგულება:გ-67.67212112) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 8. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ინფორმაცია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 დეკემბრის N42 73 განკარგულების განხორციელების შესახებ.

განკარგულებით დამტკიცებული გეგმის შესრულების თაობაზე ინფორმაცია ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა: **თინა აბულაძემ** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური **განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: სიმონ ჭოლოკავამ, გურამი კიკნაველიძემ, ირაკლი გოგსაძემ, შალვა მშვილდაძემ.
საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილება სხდომას გააცნო: **სიმონ ჭოლოკავამ-საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 52 (განკარგულება:გ-67.67212111) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ; განკარგულების პროექტი წარმოადგინა მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილება ბიუროს წევრებს გააცნო: **სიმონ ჭოლოკავამ- საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 53 (განკარგულება:გ-67.67212113) 30.07.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-17 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 17 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: შალვა მშვილდაძე